ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №195

2020 წლის 21 მაისი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებელების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 თებერვლის №23 დადგენილების (www.matsne.gov.ge; 08/02/2018 წ; 010250020.35.160.016459) პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართი №1-ში – „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებელების სამსახურის დებულებაში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 55^2 , 77^1 , 77^2 , 82^5 (პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107^4, 119^1, 146^1, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 152-ე, 153^4, 159-ე, 159^1 მუხლებზე კანონით დადგენილი წესით დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასა, საჭიროების შემთხვევაში ნიმუშის დალუქვის ღონისძიებების გატარებას და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივლისიდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევანი ონიანი**